დანართი №1

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში - SBA ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
ნინო ქიტიაშვილი

წევრები:
დემეტრე დემეტრაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 6 ივლისის №MES 9 26 0000000N/A ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 16 ივლისს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში (მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22). ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობისა და ფაქტობრივი პირობების შემოწმება. ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ფარგლებად განისაზღვრა სტანდარტის ბ.ა), ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტები.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროგრამის კომპონენტები; დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იმიტირებული სამუშაო გარემო; გაესაუბრა აკადემიის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს; გადაამოწმა ელექტრონული/დისტანციური სწავლების პლატფორმები და ფაქტობრივი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ფორმა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია ლიცენზირებული პლატფორმა „TEAMS“, რომელშიც ყველა საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თავისი ჯგუფი, ჯგუფებში პროგრამების მიხედვით გახსნილია არხები, სადაც ატვირთულია ყველა სასწავლო მასალა და ზრდის მის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სისტემა იძლევა დისტანციური მუშაობის, მასალების ოპერატიულად გაცნობისა და სასწავლო დავალებების ეფექტურად შესრულების გარანტიას.

ხაზგასასმელია, რომ დაწესებულებას ინსტიტუციურ და მეთოდოლოგიურ დონეზე სრულყოფილად აქვს დარეგულირებული დისტანციური სწავლების წარმართვის პროცესი. აკადემიაში მოქმედებს დისტანციური სწავლების მარეგულირებელი შიდა აქტები და მეთოდოლოგია, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს სწავლისა და სწავლების ფორმატებს.

წინარე გარემოებები და კონტექსტი:

დაწესებულებამ 2026 წლის 28 მაისს (№636988/№00009907) ცენტრში წარმოადგინა განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შეცვლილ პროფესიულ სტანდარტთან.

წარმოდგენილი ცვლილებებით, არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განისაზღვრა 97 კრედიტით (ნაცვლად 99-ისა), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 127 კრედიტით (ნაცვლად 129-ისა).

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში ასახული იყო ცალკეული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №143/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი) შესაბამისად, დაწესებულებას ცენტრში არ ჰქონდა წარმოდგენილი სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელების თაობაზე დადგენილი ფორმის ოფიციალური განაცხადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით მომზადდა ბრძანება არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ, საგანმანათლებლო პროცესის სამართლებრივი საფუძვლებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დასკვნის პროექტთან დაკავშირებით შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA არსებითი ხასიათის შინაარსობრივი შენიშვნები არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" რექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N2610 ბრძანება (ცვლილება - 18.05.2026, N9057 ბრძანება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ - განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრისა და სექტორული საჭიროებების ანალიზს, აგრეთვე დამსაქმებლებთან ჩატარებულ კონსულტაციებს. ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური მართვის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა სტაბილურად მაღალია, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება აკადემიის მისიას — „ვიყოთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის.“ პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ნებისმიერი ასაკისა და წინარე გამოცდილების მქონე პირს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს თანამედროვე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული განათლება და უზრუნველყოს საკუთარი პიროვნული თუ კარიერული ზრდა. პროგრამის დანერგვა ასევე პირდაპირ პასუხობს აკადემიის ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას: ხედვასთან შესაბამისობა: პროგრამა საზოგადოების წევრებსა და ეკონომიკურ აქტორებს სთავაზობს ხარისხიან, მათ საჭიროებებზე მორგებულ და ინოვაციურ გადაწყვეტას ფინანსურ-ბუღალტრული მიმართულებით, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდების, ისე პარტნიორი ორგანიზაციების განვითარებას. სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობა: „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განხორციელება ემსახურება აკადემიის სტრატეგიულ პრიორიტეტებს - საგანმანათლებლო პროგრამების პორტფელის გაფართოებას, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერებას, სწავლის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირის დამყარებას. პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი ეფუძნება აკადემიის ძირითად ღირებულებებს - ხარისხზე ორიენტირებულობას, ხელმისაწვდომობას, ინკლუზიურობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნასა და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და შერჩევის პროცედურები მკაფიო, გამჭვირვალე და ინკლუზიურია. სავალდებულო სრული ზოგადი განათლების მოთხოვნა უზრუნველყოფს აპლიკანტთა იმ საბაზისო ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების დასაძლევად. შერჩევის, ფორმალური/არაფორმალური განათლების აღიარებისა და სსსმ პირთა ალტერნატიული დაშვების მოქნილი მექანიზმები იძლევა იმის გარანტიას, რომ პროგრამაზე ირიცხებიან შესაბამისი მზაობისა და მოტივაციის მქონე სტუდენტები, რომლებიც დადგენილ ვადაში მიაღწევენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ბუღალტრული აღრიცხვა“ - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიაში მოქმედი და დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ობიექტურ, კომპლექსურ და რაციონალურ დაგეგმვას.
პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული კვოტის გამოანგარიშება ეფუძნება შემდეგ ძირითად კომპონენტებსა და რესურსებს:

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და სასწავლო გარემო: იანგარიშება პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი თეორიული (A ტიპის) და კომპიუტერული/სპეციფიკური (B ტიპის) სასწავლო სივრცეების ფართობი, სამუშაო ადგილებისა და კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა. კვოტის დაანგარიშებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ცვლიანობა და კვირეული დატვირთვის განრიგი.
- ადამიანური რესურსი: გაანგარიშება ითვალისწინებს პროგრამის მოდულების განმახორციელებელი პერსონალის საათობრივ დატვირთვასა და ოპტიმალურ ფარდობას სტუდენტთა რაოდენობასთან.
- პრაქტიკის ბაზები და პარტნიორობა: საწარმოო/პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მხედველობაში მიიღება პარტნიორი ორგანიზაციების მზაობა და მათი ინფრასტრუქტურული სიმძლავრეები.
- ბაზრის მოთხოვნა: ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებსა და პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენება იძლევა იმის გარანტიას, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო, სათანადოდ აღჭურვილი და მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის მობილიზებული მატერიალური, ტექნოლოგიური და ბიბლიოთეკური რესურსები. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას.
საგანმანათლებლო და ბიბლიოთეკური რესურსი: ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდი და ელექტრონული ბაზები. დადგინდა, რომ ხელმისაწვდომი ლიტერატურა და სასწავლო-მეთოდური მასალები სრულად შეესაბამება პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ ძირითად წყაროებს და სრულად ფარავს სწავლის შედეგების მოსაპოვებლად საჭირო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და კომპიუტერული ლაბორატორიები თითოეულ სტუდენტს უზრუნველყოფს პერსონალური სამუშაო სივრცით, რაც კრიტიკულია პრაქტიკული უნარების ჩამოსაყალიბებლად.
დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნია ლიცენზირებული პლატფორმა „TEAMS“, რომელშიც ყველა საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თავისი ჯგუფი, ჯგუფებში პროგრამების მიხედვით გახსნილია არხები, სადაც ატვირთულია ყველა სასწავლო მასალა და ზრდის მის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სისტემა იძლევა დისტანციური მუშაობის, მასალების ოპერატიულად გაცნობისა და სასწავლო დავალებების ეფექტურად შესრულების გარანტიას.
ამრიგად, მობილიზებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის მოთხოვნებს და ქმნის საიმედო ბაზას სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ მოიცავს.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია „დებულებით“, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს” რექტორის N 2610 (12.02.2026) ბრძანებით, ბოლო ცვლილება - 14.07.2026, N14381 ბრძანება
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
პროგრამის სახელწოდება სრულად და ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და მისი მოდულების თემატიკას. სახელწოდება პირდაპირ შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. იგი არის მკაფიო, გამჭვირვალე, არ შეიცავს ბუნდოვან ან შეცდომაში შემყვან ფორმულირებებს და აპლიკანტებს/სტუდენტებს უქმნის ადეკვატურ მოლოდინს იმ პროფესიული კომპეტენციების შესახებ, რომლებსაც ისინი შეიძენენ სწავლის პროცესში.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ (სარეგისტრაციო № 04.5.1) - „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით.
პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მოდულების შემადგენლობა, სწავლის შედეგები და შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ სტანდარტთან, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან. დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი წარმართულია დადგენილი პროცედურების დაცვით და უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების სრულყოფილ რეალიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა
- პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვით“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სპეციფიკას. აკადემია აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება აკადემიის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანობისთვის კომპიუტერებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა - ORIS, ხოლო სწავლების პროცესში ჩართული არიან პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომლებიც რეალურ შემთხვევებზე დაფუძნებით უზიარებენ სტუდენტებს საკუთარ გამოცდილებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები.
ამდენად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, შესაბამისად, **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობისა და აკადემიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.
აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მოდულების მასწავლებლებს გააჩნიათ სათანადო ციფრული კომპეტენციები და ტექნოლოგიური უნარები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, სწავლებისა და შეფასების პროცესი ეფექტურად წარმართონ დისტანციურ/ელექტრონულ ფორმატში. დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკური და მეთოდოლოგიური შესაძლებლობებით, რათა შეუფერხებლად განახორციელოს პროგრამის შესაბამისი მოდულები დისტანციური სწავლების ფორმატში. კერძოდ, სასწავლო პროცესისა და რესურსების ხელმისაწვდომობის ეფექტური მხარდაჭერისთვის, აკადემია იყენებს ლიცენზირებულ პლატფორმა „MS Teams“-ს. აღნიშნულ სისტემაში ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია შესაბამისი ჯგუფები და არხები, სადაც სრულად არის განთავსებული ყველა საჭირო სასწავლო მასალა, რაც უზრუნველყოფს როგორც სწავლების მაღალ ხარისხს, ისე სტუდენტთა ჩართულობასა და მუდმივ ინტერაქციას.
ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე; მას უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, მათ შორის დისტანციური/ელექტრონული სწავლების პროცესებისა და შესაბამისი მოდულების ეფექტური მართვისა და ადმინისტრირების უნარები

ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ამდენად **ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯს აქვს საკანონმდებლო ბაზაზე წვდომა.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, ამდენად, **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტროწული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

ამდენად, **ინდიკატორი 2.2.1.6.- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,** სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შექმნის პროცესი გაწერილია აკადემიის შიდა მარეგულირებელ აქტში „სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (თავი 2, მუხლი 20; დანართი 15). პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შემოსავლებსა და ხარჯებს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით. საპროგნოზო ბიუჯეტი მტკიცდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის დირექტორის ბრძანებით და მისი კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად იცვლება შემოსავლების ან ხარჯების რომელიმე მუხლი.
პროგრამის შემოსავლის ნაწილი ფორმირდება სწავლის საფასურითა და სხვა დამხმარე შემოსავლებით. ხარჯვით ნაწილში დეტალურად და ადეკვატურად არის გაწერილი ყველა აუცილებელი კომპონენტი, მათ შორის, ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება (ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი წილი), საიჯარო ხარჯი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, კომუნალური გადასახადები, საკანცელარიო და საოფისე ხარჯი, გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები, გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით. სასწავლო პროცესისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო გეგმაში მკაცრად არის დაცული მოდულების გავლის ლოგიკური თანმიმდევრობა, კრედიტების განაწილება, საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა და მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია დისტანციურ ფორმატში განსახორციელებელი მოდულებიც: უცხოური ენა (ინგლისური ენა) - 11.00.1; ინფორმაციული წიგნიერება - 11.00.5; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები - 04.5.1.2; აუდიტის საფუძვლები - 04.5.1.14; რომელთა სწავლებაც მიმდინარეობს დადგენილი წესებისა და ტექნოლოგიური სტანდარტების სრული დაცვით

პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, მეცადინეობების განრიგი და შეფასების კომპონენტები სრულად შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებს.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა დაცვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ჯეროვნად მიღწევას. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და ორგანიზებას, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები, ინდივიდუალური საჭიროებები და პროფესიული განვითარების მიზნები. დისტანციური სწავლების ფორმატი თავისთავად ეფექტურად პასუხობს დასაქმებული ან რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების საჭიროებებს, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი თავსებადი გახადონ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობასთან.

დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და მონიტორინგის მექანიზმები იძლევა საშუალებას, აკადემიამ მოქნილად და დროულად მოახდინოს რეაგირება სასწავლო პროცესში წარმოქმნილ შემხვედრ საჭიროებებსა თუ გამოწვევებზე -სასწავლო განრიგისა და პრაქტიკული კომპონენტების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები; საჭიროების შემთხვევაში (მაგ., ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, აკადემიური ჩამორჩენა), აკადემია უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და დამატებით კონსულტაციებს.

ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასინქრონული სწავლებისა და მხარდაჭერის კომპონენტს: MS Teams-ის პლატფორმაზე უზრუნველყოფილია ჩაწერილი ლექციებისა და სასწავლო მასალების მუდმივი ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ელექტრონული ჩატის მეშვეობით ოპერატიული კონსულტაციები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სჭირდებათ დამატებითი აკადემიური მხარდაჭერა. სტუდენტებთან პერიოდული გამოკითხვებისა და პირდაპირი კომუნიკაციის საფუძველზე, დაწესებულება ოპერატიულად ახდენს სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური თუ ციფრული რესურსებით სარგებლობისა და დამხმარე სერვისების ადაპტირებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული, ინკლუზიური, ტექნოლოგიურად გამართული და მოქნილი სასწავლო გარემოს შექმნას. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სფეროს მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სტუდენტებს აძლევს საშუალებას, ისწავლონ რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში, რაც ეხმარება მათ პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მეცადინეობებზე აქტიურად გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რეალური შემთხვევების (ქეისების) განხილვა, სიტუაციური ამოცანები, როლური თამაშები, პრაქტიკული სავარჯიშოები და ჯგუფური მუშაობა. ეს მიდგომები სტუდენტებს ეხმარება, ისწავლონ სიტუაციის ანალიზი და დამოუკიდებლად მიიღონ პრაქტიკული გადაწყვეტილებები.

დისტანციურ ფორმატში განსახორციელებელი მოდულების შემთხვევაში, სწავლების მეთოდოლოგია სპეციალურად არის ადაპტირებული ელექტრონულ/ონლაინ გარემოზე, რა დროსაც გამოიყენება როგორც სინქრონული (პირდაპირი ჩართვები), ისე ასინქრონული სწავლების ფორმატები

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სტუდენტთა საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმებსა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ფორმებს. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, სტუდენტთა მობილობასა და განათლების აღიარებას.
გარდა ამისა, წესი ითვალისწინებს სასწავლო და შეფასების პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ მაქსიმალურად იყოს ასახული სტუდენტების ინტერესები. ამ მიზნით, პერიოდულად ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სტუდენტებთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ეწყობა დამატებითი ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობები.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
პროგრამა ხორციელდება იმიტირებული მიდგომით.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი არ საჭიროებს სპეციფიკურ ან განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომებს. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიასა თუ ლაბორატორიაში სრულად არის დაცული შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ამასთან, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების სხვა შესაბამისი სტანდარტების დაცვა.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია
დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებზე. შეფასების ინსტრუმენტები იქმნება უშუალოდ მოდულისა და მისით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად და სასწავლო პროცესში გამოყენებამდე გადის სავალდებულო შინაარსობრივ და ტექნიკურ ვალიდაციას, რასაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფენ. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და ცნობილი სტუდენტებისთვის, ხოლო შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობას. პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას განსაზღვრავს სტუდენტისათვის შედეგების დროულად ეფექტური გაცნობა და მოქმედი აპელაციის მექანიზმი, რაც სტუდენტს აძლევს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, დადგენილ ვადებში გაასაჩივროს როგორც შეფასების პროცედურა, ისე უშუალოდ მიღებული შედეგი.

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა დისტანციური შეფასების პროცესი რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული პირობებითა და სტანდარტებით. პირველ რიგში, დაცულია სტუდენტის უფლება არჩევანზე, რაც გულისხმობს იმას, რომ პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, აკადემია ვალდებულია შეფასების პროცესი მოაწყოს არადისტანციურ, ანუ პირისპირ ფორმატში. უშუალოდ დისტანციური შეფასებისას, პროცესის ობიექტურობისა და სტუდენტის იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება იყენებს ვიდეოკამერას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ან დამატებითი იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებს.

შეფასების პროცესში დასწრებისა და მონაწილეობის სიზუსტე უზრუნველყოფილია ელექტრონული პლატფორმის ლოგების საფუძველზე, რასაც დამატებით შეიძლება ახლდეს უშუალოდ პროგრამის განმახორციელებლის მიერ წარმოებული აღრიცხვაც, სადაც დეტალურად ასახება სტუდენტის დაგვიანების თუ შეფასებიდან ნაადრევად გასვლის შემთხვევები. შეფასების შედეგების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, სტუდენტთა შედეგები თავსდება MS Teams პლატფორმაზე. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიურ კეთილსინდისიერებას - დისტანციური შეფასებისას სტუდენტი ვალდებულია თავიდან აიცილოს პლაგიატი და ტესტებსა თუ დავალებებზე იმუშაოს სრულიად დამოუკიდებლად.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.

2, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

აკადემიაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტრუმენტს. მისი მიზანია შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით, პროგრამების შემოწმების ფარგლებში. პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, მას წარმართავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე დამოუკიდებელი ვერიფიკატორი ან ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც არ მონაწილეობს მოცემული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა თუ ვალიდაციაში ჩართული პირი.

ვერიფიკაცია ფარავს შეფასების სისტემის ყველა ძირითად ასპექტს როგორც პირისპირ, ისე დისტანციური სწავლების ფორმატში::

ვალიდურობის შემოწმება: ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შესწავლით, რათა დადგინდეს მისი რელევანტურობა სწავლის შედეგებთან და შეფასების კრიტერიუმებთან.

სანდოობის შემოწმება: მოიცავს შეფასების მტკიცებულებების შინაარსობრივ შესწავლას, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში ჩატარებული შეფასებების ციფრული ჩანაწერების, MS Teams-ის ლოგებისა და ატვირთული ფაილების ანალიზს.

გამჭვირვალობისა და სამართლიანობის შემოწმება: ფასდება უშუალოდ შეფასების პროცესი - პირობების შესწავლის, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებისა და პროცესზე დასწრების გზით.

ობიექტურობის შემოწმება: ხორციელდება შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების შესწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციისათვის მასალების შერჩევა ეფუძნება არსებულ რესურსებსა და რისკების ანალიზს (მაგ., დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და ა.შ.). წესის შესაბამისად, მოწმდება დასრულებული მოდულების არანაკლებ 50% და თითოეული ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების არანაკლებ 50% (ხოლო 10-მდე მოდულის ან ინსტრუმენტის/მტკიცებულების არსებობისას - ყველა მათგანი). შერჩეულ მტკიცებულებებში შეუსაბამობის ან უარყოფითი შედეგის გამოვლენისას, მტკიცებულებები მოწმდება სრულად.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესბამისად, უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებითა და კონსულტაციებით.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი”
- ვერიფიკაციის შედეგები
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
თარიღი: 06.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: